№ 206. შაბათი, 24 მაისი. 1896—1897 შაბათი, 24 მაისი № 206.

რედაქცია:
ტფილისი, ფრეილინის ქუჩა, № 13.
ხელის მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიჰმართვენ რედაქციას დილის 10 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე და „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიას.
ხელმოუწერავ წერილებს რედაქცია არ ჰბეჭდავს.

პირისპირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველდღე.
ტელეფონი № 363.

ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური სახალხო გამოცემა.

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ნახევარის წლით 4 მან.
თითო ნომერი 3 კაპეიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე 5 კაპ.

Тифлисъ, Фрейлинская № 13. Редакція
„Цнобисъ Пурцели“.
Телефонъ № 363.

ლატარია-ალეგრი

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სასარგებლოდ დანიშნულია 25 მაისს, მუშტაიდის ბაღში.

ვისაც ჰსურს შემოსწიროს ნივთები ამ ლატარიისათვის, შეუძლიან ეს ნივთები გაუგზავნოს კნ. ოლგა თადეოზის ასულს ჭავჭავაძისას (ნიკოლოზის ქუჩა, საგინოვის სახლი № 21) და „წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიას.

„შ უ ა მ ა ვ ა ლ ი“

ალებ-მიცემის მაღაზიამ მიიღო ახლად: ყველი „ბრუსო“ კობიდგან და აგრეთვე ჩაი ვისოცკისა და გოცისა, გამოწერილი მოსკოვიდგან.

კუთხე ბარონისა და ბაზრის ქუჩისა, სახლი თ-დ კ. ი. მუხრან-ბატონიშვილისა, № 6/1.

(5—4).

უმაღლესად დამტკიცებული საზოგადოება

აზოვის ზღვაოსნობისა

ამით საყოველთაოდ იუწყება, რომ ამ წლის თებერვლიდან გაიმართა **დრო-გამოშვებითი მორიგი მიმოსვლა საბარგო და მგზავრთა გემებისა ოდესა-ბათომს შუა.**

ფასი შემცირებულია როგორც ბარგზე, აგრეთვე მგზავრთათვის.

ოდესიდან გამოდის—სამშაბათობით და პარასკეობით.
ფოთში მოდის—კვირაობით და ოთხშაბათობით.
ბათომში მოდის—ორშაბათობით და ოთხშაბათობით.
ბათომიდან გადის—ორშაბათობით და ხუთშაბათობით.
ფოთიდან გადის—სამშაბათობით და ხუთშაბათობით.
ოდესაში მოდის—კვირაობით და სამშაბათობით.

გემები გზა და გზა შეივლიან ოჩემჩირეში, სოხუმში, ახალ ათონში, გუდაუთში, სოჭში, თუაფსეში, ნოვოროსისკში, ქერჩში, ფეოდოსიაში, იალტაში, სევასტოპოლში და ევპატორიაში.

ცნობებისათვის მსურველნი მიჰმართავენ:

ტფილისს—საზოგადოების აგენტს ი. ბ. რივკინს, ველიამინ. ქ., 3.
ბათომს — — — ი. მ. ვარშავსკის.
ფოთს — — — ა. დ. გუგუშვილს.

ВЫСОЧ. УТВЕР. О-ово АЗОВСК. ПАРОХОДСТВА

Срочные товаро-пассажирскіе рейсы по удешевленному тарифу между Батумомъ и Одессой.

Справки у агентовъ О-ва: **Тифлисѣ**—І. Б. Рывкина, Велямин. 3. **Батумѣ**—Я. М. Варшавскаго и **Поти**—А. Д. Гугушвили.

(50—23)

მიიღება ხელის-მოწერა

რუსულ-ქართულ
სრულ ლექსიკონზე.

ოხსენებულს ლექსიკონში ჩვენ შევიტანთ ყოველ სიტყვას, რომელიც-კი იპოვება უკანასკნელს ხანებში გამოსულს რუსულს ენციკლოპედიურს ლექსიკონებში, იმ თვალ-საჩინო განსხვავებით, რომ ჩვენი ქვეყნის შესახებ ცნობები გაცილებით უფრო ვრცლად იქნება განმარტებული. ლექსიკონი გამოვა რამდენიმე წიგნად (დაახლოვებით ექვს წიგნად; ამათში ერთი უკანასკნელი, იქნება **ქართულ-რუსული**, რომელშიაც ავხსნით თვით ჩვენს ლექსიკონში ნახმარ ქართულ სიტყვებს) და ეღირება: **ორ-ორი წიგნი ხუთი მანათი გადაზავნით** (თითო წიგნი იქნება 400—500 გვერდი, ე. ი. დ. ჩუბინაშვილის რუსულ-ქართული ლექსიკონის ოდენა, რომელიც იყიდებოდა 3 მან. 60 კაპ.). პირველი წიგნი გამოვა ამ შემოდგომაზე; მაურველს შეუძლიან **სამი მანათი** ეხლა შემოიტანოს, ხოლო დანარჩენი **ორი** მანათი პირველი წიგნის მიღების შემდეგ. სანიმუშოდ ჩვენ უკვე დავბეჭდეთ პირველი ფურმა ამ ლექსიკონისა და შეგვიძლიან გავუგზავნოთ მუქთად ყველას, ვინც მოითხოვს. თუ ვინმე როდისმე ცდილა ქართული ტერმინების შემუშავებას, ვსთხოვთ თავიანთი შრომა გამოგვიგზავნონ და ვენც დიდის სიამოვნებით შევიტანთ მათ მოხსენებულს ლექსიკონში.

ჩვენი ადრესი: ტფილისი, ივანე პავლეს ძე როსტომაშვილს.

(15—5) ივანე როსტომაშვილი.

სათავად-აზნაურო თეატრი
შაბათს, 24 მაისს,

ბ. კარბარეთელი
გამართავს

კონცერტს

მონაწილეობას მიიღებენ: ბბ. პროფესსორი მოსკოვის კონსერვატორიისა ა. ნ. კორეშჩენკო, ვილშაუ, ცხომელიძე, მესხი და გრ. აბაშიძე.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

დასაწყისი სწორედ 9 საათზედ.

(3—უ—3)

სათავად-აზნაურო თეატრი
სამშაბათს, 27 მაისს,
ახლად შემდგარი ქართულ საერო სიმღერების

ხ ო რ ო

ალ. კავსაძის ლოტბარობით ახლად შეკრილ საგანგებო ქართულ ქულაჯებით გაჰმართავს

კონცერტს

ოთხის განყოფილებით და 28 სიმღერით.

ხორო შეასრულებს მხოლოდ **საქართველოს** ყველა კუთხეების საუკეთესო ხმებს: ქართლ-კახურს, გურულ-იმერულს, ფშავ-ხევსურულს, მეგრულს, ოსურს და სხვ.

დასაწყისი საღამოს სრულ 9 საათ.

ბილეთები იყიდება თეატრის კასაში.

გამგე ხოროსი და კონცერტისა ივ. მჭედლიშვილი.

ანონსი: 31 მაისს სად. **განჯაში** ესევე ხორო გაჰმართავს კონცერტს.

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათამდე, ვისაც სჭირს: სნეულებანი სახირურგიო, ვენერიული (სიფილისი) და შინაგანი.

გ. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.

ექ. ქალი ა. ი. დუნაევა-რუდენკო 11—12 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისა და ბავშვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი.—დილის 10—11 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით; და $1^1/_2$—2 საათ. ორშაბათობით, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.

ი. ფ. პროტასევიჩი. 12—1 საათ. სნეულებანი: ყურ-ისა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკ.

ა. მ. პუგინოვი. 12—1 საათამდე. შინაგან, ბავშვთა და ნერვის ავადმყოფობისა, სამშაბათ, ხუთშაბათ და შაბათობით.

ა. ზ. კარაპეტიანცი. 1—$1^1/_2$ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ი. ფ. პროტასევიჩი. 5—6 საათ. სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

ა. მ. პუგინოვი. 5—6 საათ. ორშაბათ, ოთხშაბათ და პარასკეობით.

ბ. ა. ნავასარდიანი. $6^1/_2$—$7^1/_2$ საათამდე.

სამკურნალოში გამოიკვლევენ ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი. (წ.)

სამკურნალო და ამბულატორია
ს. ბ. თოფურიასი
ქუთაისში

სამკურნალოში 40 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: **შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი.**

გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან.

ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგანს და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს **ს. .ბ თოფურია.**

საქირურგიო ავადმყოფობას და სიფილისს—**ფ. კ. ბერრატი.**

დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი **მ. თ. კოგანი.**

თვალების ავადმყოფობას—**ი. კ. ვარშავსკი.**

ამბულატორიაში არის კაბინეტი, საქიმიო და საბაქტეორიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისთვის და მასაჟისთვის.

სამკურნალოს დირექტორი **ს. ბ. თოფურია.**

(წ.)

დეპეშა
გაზეთ „ცნობის ფურცლისა“.
„რუსეთის სატელეგრაფო სააგენტოსაგან“
22 მაისი

პეტერბურგი. ხელმწიფე იმპერატორმა უმაღლესად უბრძანა იუსტიციის მინისტრს, რომ ამ უკანასკნელმა თვით დააარსოს ირკუტსკის სამოსამართლო პალატა და ოლქის სასამართლო, ხოლო დანარჩენ სასამართლოების დაარსება მიენდოს ციმბირის სამოსამართლო უწყების იმ უმაღლეს მოხელეთ, რომელთაც სტატს-სეკრეტარი მურავიოვი მოისურვებს. ამ უმაღლესის ბრძანების ასასრულებლად იუსტიციის მინისტრმა, ციმბირის ყველა ადგილებში იმპერატორი ალექსანდრეს II წესდებულების სასამართლოების შემოსაღებლად, დანიშნა 2 ივლისი 1897 წ.

ვენა. დეპუტატთა პალატა. წევრთა უმრავლესობის სახელით იავორსკიმ განაცხადა, რომ, რადგანაც ყოველივე სასარგებლო მოქმედება პარლამენტში შეუძლებელად შეიქმნა, რის გამოც თვით ბედ-ილბალი პარლამენტისა დიდს განსაცდელშია, ამიტომ ყოველივე კამათობა სრულებით მეტი არისო. მინისტრ-პრეზიდენტმა ბადენმა განაცხადა, რომ პარლამენტის მოქმედებას ძალით ხელსუშლიან და ამიტომ საზოგადო საქმე უკან ჩამორჩაო. მთავრობა, დარწმუნებულია რა, რომ იგი ასრულებს თვით იმპერატორისა და პარლამენტის უმრავლესობის სურვილს, რეიხსტაგის კრებასა ჰშლის! (მოწონების ხმა მარჯვნივ, ხმაურობა მარცხნივ). პრეზიდენტმა სამჯერ განაცხადა „hoch“ იმპერატორის პატივსაცემლად და კრება დაიშალა. კრების დარბაზიდგან დეპუტატები ძლიერ აღელვებულნი დაიშალნენ.

პარიზი. გაზეთებში დაბეჭდილია, რომ საფრანგეთის პრეზიდენთის ფორის გამგზავრება ამ ზაფხულს რუსეთში ძლიერ მოსალოდნელიაო.

ლონდონი. „Daily Neus“-ს დეპეშით ატყობინებენ კანეიდგან, რომ 19 მაისს, ღამე, განდგომილნი გიერაპეტროს დაეცნენ, მაგრამ იძულებულნი გახდნენ უკანვე დაბრუნებულიყვნენ, რადგანაც საფრანგეთის და იტალიის გემებიდგან ზარბაზნები დაუშინეს.

ქაირიდგან იუწყებიან, რომ მექის მლოცავთა შორის კარანტინის დროს, აღმოჩნდა რაღაც საეჭვო ავადმყოფობა, რომელიც შემდეგ ხოლერად იქმნა ცნობილიო.

ვენა. სერბიაში და ბოლგარიაში დიდი წვიმების გამო მდინარეები ნაპირებიდგან გამოვიდნენ, ხიდები წყალმა წაიღო, გზები შეკრულია. ზარალი ძალიან დიდია. სერბიაში რამდენიმე ქალაქი წყალმა წალეკა.

სტამბოლი. 22 მაისს, პორტაში მოხდება პირველი მოლაპარაკება ოსმალეთს და საბერძნეთს შორის ზავის ჩამოგდების შესახებ. მოლაპარაკებაში მონაწილეობას მიიღებენ ელჩები და ოსმალეთის გარეშე საქმეთა მინისტრი.

პარიზი. პალატამ აირჩია 1898 წლის საბიუჯეტო კომისია. კომისიის 33 წევრში, 23 სამინისტროს ეკუთვნის.

მთავრობის განკარგულება.

უმაღლესი ჯილდო.

ხელმწიფე იმპერატორმა, ანნას ორდენის საკავალერო საბჭოს ყოვლად უქვეშევრდომილესის მოხსენებისამებრ, ყოვლად უმოწყალესად ინება 3 თებერვ. ამა წლისას, ხსენებულის ორდენის მესამე ხარისხის მიცემა ქუთაისის სასულ. სასწავლებლის მასწავლებლის, სტატსკი სოვეტნიკის იოსებ სანებლიძისათვის.

უწმიდესის სინოდის ბრძანება.

უწმიდესის სინოდის ბრძანებით, 19 მარტიდამ ამა წლისა, მე-1666 ნომრით ტფილისის სას. სემინარ. მასწავლებელი, მღვდელ-მონაზონი დიმიტრი დანიშნულ არს ქუთაისის სას. სემინარიის ინსპექტორად.

შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ დამტკიცებულ არს 4 თებერ. ამ წლისა, ქუთაისის გუბ. [illegible] სასწავლებლის [illegible] ღარიბ მოს-

წავლეთა შემწეობის საზოგადოების წესდებულება.

საეპარქიო მთავრობის განკარგულებანი.

დაარსებულ არს კომიტეტი ტფილისის სიონის ტაძრის მუზეუმისა, შემდეგ პირთაგან შემდგარი: არქიმანდრიტის ლეონიდისა (იგივეა გამგე და თავმჯდომარე), იღუმენის კირიონისა, დეკანოზის ყონჩუაშვილისა, მღვდლის ცინცაძისა, მღვდ. ტყემალაძისა, სემინარიის მასწავლებლების—მახათაძისა და ფერაძისა, სას. სასწ. მასწავლებლის ჯანაშვილისა, სათავად-აზნაურო სკოლის ინსპექტორის თაყაიშვილისა, ფოტოგრაფის რონინაშვილისა და მღ. კარბელაშვილისაგან.

დამტკიცებულ არიან საეკკლესიო-სამრევლო სამზრუნველოები. გეჯვინის იოანნე ღვთის-მეტყველის ეკკლესიისა ადგილობითის მღვდლის იოანნე ბერიტაშვილის თავმჯდომარეობით, შემდგარი შემდეგ წევრთა—გლეხთაგან: სოლომონ სონგულაშვილისა, მიხეილ გაბოშვილისა, იოსებ წალკაშვილისა და აბრაამ იმედაშვილისაგან, მარტის 4-ს.

გეჯვინის წმ. პეტრე-პავლეს ეკკლესიისა, ადგილობითის მღვდლის პეტრე ელიზბარიშვილის თავმჯდომარეობით, შემდგარი შემდეგ წევრთა—გლეხთაგან: დიმიტრი ხარიტონიშვილისა, ქრისტესია ჩიტოშვილისა, დიმიტრი ფაზიაშვილისა და იორდანე ჯამატოშვილისაგან, მარტის 4-ს.

გეჯვინის წმ. გიორგის ეკკლესიისა, ადგილობითის მღვდლის თომა ასათიანის თავმჯდომარეობით, შემდგარი შემდეგ წევრთა—გლეხთაგან: ისააკ ზავრაშვილისა, იასონ საბაშვილისა, ილია მეჯველიშვილისა და გიო მუსულიშვილისაგან.

საეკკლესიო მნათეებად დამტკიცებულ არიან: გლეხი გიორგი ფურცელაძე მარტყოფის მთავარ-ანგელოზის ეკკლესიისა, გლეხი თეოდორე გენებაძე—უჯარმის ეკკლესიისა, გლეხი ანდრია არსოშვილი დიდ-ლილოს ეკკლესიისა, გლეხი ერმალოზ ლებანიძე—ახალ სოფლის ეკკლესიისა, გლეხი პეტრე მაკიშვილი პატარა ლილოს ეკკლესიისა, გლეხი გიორგი კობიაშვილი—მარტყოფის საკრებულო ტაძრისა, გლეხი იოსებ კანდელაკი მარტყოფის სამების ეკკლესიისა, გლეხი გრიგორი უერთაშვილი—ნორიოს მთავარ-ანგელოზის ეკკლესიისა, ყველანი 17 მარტს.

ახალი ამბავი

⁂ **ბ. კარგარეთელის კონცერტი.** დღეს, სათავად-აზნაურო თეატრში დანიშნულია ჩვენის ახალგაზდა და ნიჭიერის მომღერალის ი. კარგარეთელის კონცერტი.

კონცერტს, იმედია, დიდ ძალი ხალხი დაესწრება, მით უმეტეს, რომ მონაწილეობას ღებულობს სახელ-განთქმული პროფესორი კორეშჩენკო, რომელიც იმღერებს რამდენსამე ქართულს ხმას, მისგანვე ნოტებზე გადაღებულს; ბ. კარგარეთელიც იმღერებს თავის ახალს რომანსებს.

⁂ **ფრიად მძიმე საქმე და მისი შესრულება.** მოწყალეო ხელმწიფევ, ბატონო რედაქტორო! მეტად სასიამოვნოს ამბავსა ვკითხულობთ ჩვენს გაზეთებში, რომ ზოგი ერთი პირნი შესდგომიან „ქართულ-რუსულს“ და „რუსულ-ქართულს“ ლექსიკონების დაბეჭდვასა დიდი ხანია რაც საჭირო არის ჩვენთვის ამისთანა ლექსიკონები და თუ შიო დავითაშვილი და ივ. როსტომიშვილი შესდგომიან ამ ფრიად სამძიმო საქმეს, ჩვენ მადლობისა და ჯერ-ჯერობით ქების მეტი არა გვეთქმის რა, მაგრამ არ შემიძლიან უყურადღებოდ დავსტოვო ეს ჩვენი საერთო საქმე.

დავითაშვილი და როსტომიშვილი მარტოკანი რათ შესდგომიან ამისთანა ლექსიკონების გამოცემას და სხვასაც რატომ არ მიიწვევენ, რომ ერთად და თანაზიარად ეშრომათ ჩვენის საერთო და ყოვლად საეროს საქმისათვის? დავიჯერო, ძალა და ღონე და ცოდნაც იმდენათ მიუძღვით, რომ შეუძლიანთ სათითაოდ ამისთანა მძიმე საქმეს ბოლო მოუღონ! არა მგონია! როგორღაც საეჭვოთ არის საქმე.

მე მაქვს შედგენილი, დიდი ხანია, მეტად დიდი და ვრცელი „რუსულ-ქართულ—ლათინური ბოტანიკური ლექსიკონი“, რომელშიაც მოთავსებულია ხუთი ათასამდე ქართული სიტყვა, მცენარეთა წოდება; ამ ლექსიკონს აქვს მიცემული ენციკლოპედიური ხასიათი და მე მოვუნდი 14 წელიწადს ეხლაც კი შესასწორებელია და შესავსები. ჯერ-ჯერობით არ იბეჭდება ეს ჩემი ნაღვაწი, რადგანაც ამისი დატვიფრვა მეტად ძვირათ ჯდება და მე, ჩემის მეოხებით, ამას ვერასდროს ვერ მოვახერხებ. მევე მაქვს შედგენილი და უკვე დაბეჭდილიც პატარა „რუსულ-ქართული ლექსიკონი“, რომელშიაც მოთავსებულია ყველა ქართული სიტყვები მუნეჯიმობისა (ასტრონომიისა), ცხოველთა წოდებისა (ზოოლოგიისა), აღმონათხრედ საგანთა წოდებისა (მინერალოგიისა), და სხვა და სხვა ტეხნიკური სიტყვები და ტერმინები. ეს ჩემი ლექსიკონი შევსებულია განსვენებულის თავადის ნიკოლაოზ ტარიელის ძე დადიანისაგან შეკრებილი სიტყვებით.

მგონია, რომ უფრო კარგი იქნებოდა, რომ ორივე ეს ჩემი ლექსიკონები დავითაშვილისა და როსტომიშვილის ლექსიკონებთან ერთად შეგვემსო, შეგვეთანხმებინა, შეგვესწორებინა და ერთიანად ვრცლად დაგვებეჭდინა, მაგრამ ამ საქმეს მარტო მე და მარტოდ-მარტო როსტომიშვილი, თუ დავითაშვილი ვერ შევასრულებთ და ფრიად კარგი იქნებოდა, რომ შეგვედგინა ერთიანი და ვრცელი რედაქცია, მოგვეწვია ამ კეთილი საქმისათვის რამდენიმე პირნი, ქართული ენის კარგათ მცოდნენი და თანაზიარად შეგვემუშავებინა ერთი დიდი აკადემიური ლექსიკონი და ამ ლექსიკონს რომ ენციკლოპედიური ხასიათიც მიეცეს, რაღა თქმა უნდა, ხომ უკეთესთ-უკეთესი იქნებოდა ჩვენის ლიტერატურისათვის.

დიდის სიხარულითა და წრფელის გულის სიამოვნებით ვადავსცემ მე, ამ გვარად შედგენილს რედაქციას ჩემს ნაშრომს, მრავალის წლის ნაღვაწს ყოვლად უსასყიდლოთ და არა ვინმე კერძო პირს, ოღონდ-კი გაკეთდეს რამ ჩვენთვის ხეირიანი და ძვირფასი რამ·

ამისთანა დედაქციას ორი და სამი კაცი კი არ ეყოფა, საჭიროა თანამშრომლებათ იყვნენ მოთავსებული 15 და 20 კაციც, რომელთაც განაწილებული უნდა ჰქონდეთ ანბანი, ყოველს თანამშრომელს უნდა ჰქონდეს აღებული თითო ან ორ-ორი ასო და ასე და ამ რიგათ შეადგინონ ლექსიკონი, თორემ კერძო პირი, ერთი ვინმე კაცი, შეადგენდეს ლექსიკონს, სახოკიასი არ იყვეს, ანუ ბაგაევისა, ანუ დავითაშვილისა, ანუ როსტომაშვილისა და თუ გნებავთ, ჩემიც არ იყვეს, ყველანი სასაცილონი გამოვალთ და-კი არ დაგვცინიან თუ? მოგეცეს, ბ. რედაქტორო შენ, იმდენი დღეგრძელობა, რამდენჯერაც ჩვენ დაგვცინიან ლექსიკონების შედგენისათვის, ქართული ენის მცოდნენიცა და უცოდინარნიც, მეტადრე ეს უკანასკნელნი.

არა, ბატონო, ლექსიკონის შედგენა, მეტადრე ქართულისა, ერთი კაცის ხელთ არ არის და არც უნდა იყვეს, ყველამ უნდი მივიღოთ შრომა და მონაწილეობა გამოცემაში და მეტადრე შედგენაში. *)

კონსტანტინე დიმიტრის ძე ყიფიანი.

⁂ **შეწირულება სამკითხველოსათვის.** ბ-ნო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ ნება გვიბოძოთ თქვენის პატივცემულის გაზეთის საშუალებით გულითადი მადლობა გამოუცხადო დავით ნ. ავალიანს, რომელმაც შემოსწირა ჰაგნის მომავალ სახალხო წიგნთ-საცავ-სამკითხველოსათვის რამდენიმე ქართული და რუსული წიგნები.

აგრეთვე, ვსთხოვთ კეთილი საქმისთვის გულ-შემატკივართ, მოგვაწოდონ თავიანთი მოწყალება, რითაც იქნება.

უმორჩილესად ვსთხოვთ «ივერიის რედაქციას გადაბეჭდოს თავისს პატივცემულ გამოცემაში ჩვენ მიერ დაწყებულის საქმის განცხადება.

ჰაგნის სკოლის მასწავლებელი პართენ ქაჯაია.

⁂ **კადნიერი ჯიბგირი.** 22 მაისს ამაღლების ეკკლესიაში ერთს მანდილოსანს, როდესაც იგი სანთლებს ანთებდა, ჯიბიდამ ვიღაცამ პორტმანი ამოაცალა; ეს შენიშნეს ბავშვებმა და დედას უთხრეს: პატიოსნად გამოწყობილი ჯიბგირი-კი ის იყო, გამოდიოდა ეკკლესიიდამ. მანდილოსანი დაედევნა, მოეწია გალავანში და უთხრა: ყმაწვილო, ის პორტმანი რომ ამომაცალეთ მომეცითო.

— პორტმანი?!! აჰა, აჰა, ჰმ. პორტმანი, მეარ ვიცი...—ნუ გრცხვენიანთ ნუ, იქნება თქვენ არ გინდოდათ ამოგეცალათ მაგრამ... არც კი იკადრებდით... მომეცით, [illegible]რე... სიტყვა აღარ დაასრულებინა ფერ-წასულმა ვაჟბატონმა მანდილოსანს, ხელში პორტმანი ჩაუდო და უთხრა:

— სუ, არაფერი სთქვაო, და ამასთანავე ხალხში მიიმალა...

⁂ **სოხუმი: თურქების ამქრის მაისობა.** 17 მაისს, აქაურმა თერძებმა ჩვეულებრივი მაისობა, ანუ „სამლოთო“ გადაიხადეს. მონაწილეობა იღებდა 40 კაცზე მეტი. ამ დღისათვის გამოიწერეს ტფილისიდამ საზანდარი. დღეობამ წესიერად ჩაიარა როგორც „უცოლოთა მაისობაზე“, ისე თერძების მიერ გამართულ მაისობას ყველას სატევრები ჩამოხსნილი ჰქონდა თავის ნებით. კარგა შებინდებულზე, აიშალნენ, წინ ზურნა გაიძღოლიეს და მთელის ქალაქის ქუჩებს შემოუარეს. ქალაქის მკვიდ

ვაჭრების საყურადღებოდ.

ცხოვრება და ვაჭრობა იტალიაში

ნეაპოლი.

ნეაპოლის ყურე. ქალაქის მცხოვრებნი. ქუჩის ხელოსნები და მოვაჭრენი. ნეაპოლელების ხასიათი. ნეაპოლელი ქალი.

ნეაპოლი—ერთი უტურფესი კუთხეთაგანია მთელს ხმელეთზე, გაზაფხულობით მაინც, აპრილში და მაისში, როდესაც ლიმონისა, ატმისა და სხვა ხეხილით სავსე ჭალები საყვარლად ჰყვავიან და არე-მარეს ავსებენ ყნოსვა-სურნელოვნებით, მას მიუმატეთ ახლა ვარდი, იასამანი და მრავალნი სხვა, რომელნიც ლობეებს ტურფად ჩაჰკონვიან და თვალ-წინ წარმოგიდგებათ ნეაპოლი გაზაფხულობით. ახლა გადიხედეთ რომლისამე სასახლის აივნიდან და თქვენს თვალ-წინ გადიშლება მთელის სიტურფე-სიდიადით, უმშვენიერესი მთელს ხმელეთზე, ნეაპოლის ყურე; ცეცხლმფრქვევი, შიშის მომგვრელი, მედგარი ვეზუვი; მისს ჩამოდაღმა აქა-იქ გაბნეული მწირი სოფლები და ბუმბერაზი სილი-კლდიანი კუნძული კაპრისი. დილით კიდევ უფრო მომხიბლავი სურათი გეფინებათ თვალ-წინ, ტირენის ზღვას პირ-ბადე ეხდება და ამომავალ მზის სხივებზე ათას ფერად იწყებს ბრწყინვას; აეხდება თუ არა ზეწარი ზღვას, მოძრაობაც დაიწყობა: მეთევზენი ნავებით ერთიმეორეს გაედევნებიან, გავლენ ზღვაზე და კვლავ საქმეს ჰკიდებენ ხელს. ვეზუვი იწმენდს პირს, ჯანყ-ბურუსიდამ გამოდის და თეთრ ბოძსავით წვერს აბჯენს ცის ლურჯს კამარას. აქ, სადაც გინდა წახვიდეთ, ვეზუვს თავიდამ ვერ მოიშორებთ, ყველგან ასასივით თავს დაგყურებთ და შიშის ზარსა გგვრით, თუმცა ორი საათის მანძილზე-კი მდებარეობს ქალაქიდამ: თუ ზღვაში ნელად მისცურავთ, მეთევზეთა ტკბილს გალობას ყურს უგდებთ, ვეზუვი თავისი ბოლით თქვენ წინ არის და მოღიმარე ტურფა ქვეყნიურს ედემში მოცურავეს სიცოცხლეს გიშხამავთ.

ნეაპოლში მუდამ წამს ერთხმივი, გაუთავებელი ხმაურობა ისმის: ლამითაც-კი მოსვენება არა აქვს თქვენს ყურს, ეტლების ბრახუნისა და ლაპარაკ-ყვირილისაგან. ამოაჰყიტა თუ არა ცისკარმა თვალი, მაშინვე თქვენს სარკმელთან შეგროვდებიან ბავშვები და ძილს გაგიფრთხობენ: ჰყვირიან, ღრიალებენ და სხვა-და-სხვა ხმაზედ გაჰკივიან საგალობლებს.

ნეაპოლსა და იტალიის სხვა ქალაქებში მცხოვრებნი გარეგნობით ორ ნაწილად განიყოფებიან: გალანტუომად და ლადზარონად. ყოველი კაცი ევროპიულს ტანისამოსში კარგათ ჩაცმულ-გამოწყობილი, გახამებულის პერანგით, ყელ-სახვევითა და შლიაპით—გალანტუომოა. ასე ჩაცმული კაცი საკუთარის შრომა-შემოსავლითა სცხოვრობს: ექიმი, ვექილი, მასწავლებელი, პროფესსორი... ვინც ფიზიკურს მუშაობას ეწევა და უბრალო ტანისამოსი აცვია, ის ლადზარონია. ასეთნი არიან ნეაპოლში: მეთევზეები, რძის გამყიდველნი, დალაქები, მეხილეები და სხვანი.

ქუჩები მეტის-მეტად ვიწროებია, რომელთაც უზარ-მაზარი შენობები მთლად აბნელებენ. ქუჩების აქეთ-იქით გამართულია ყავახანები, მაღაზიები, დუქნები; ქუჩის აქეთ-იქითვე ტროტუარზე, ღია ცის ქვეშე, სხედან ხელოსნები და მუშაობენ და ჰყიდიან თავიანთს ნამუშავარს; ათასი ჯურის ხალხი შეგხვდებათ სხვა-და-სხვა ნაირს ტანისამოსში გამოწყობილი, რასაც ევროპის სხვა ქალაქში იშვიათად შეხვდები: ქუჩებზედვე მაკარონს, კიბოებს, გაყინულს წყალს ჰყიდიან; ჰხალვენ წაბლს, სიმინდს და სხვა. უიმისოდაც ავსებულს ქუჩაში, იქვე სადღაც ქუჩის მწერალს მაგიდა გაუჩხირავს და ქალებს სხვა-და სხვა წერილებს უწერს, ისინი უკარნახებენ და ეს კიდევ სწერს. ცოტა იქით კიდევ შეკრებილს ხალხს, დაგლეჯილ ტანსაცმლიან გლეხ-კაცს უჭირავს რაღაც ძველი პიესა, რომელშიაც უმთავრეს გმირად ყაჩაღია გამოყვანილი და გატაცებით უკითხავს ხალხს. იქვე ქვაფენილზედ უპატრონოდ ჰყრიან რამდენიმე უსაქმურად დარჩენილნი და მოელიან ან ახლა, ან ახლა გაგვიჩნდება საითმე სამუშაოვო. მიტომ საბრალონი ხშირად სრულიად სამუშაოს ვერა შოულობენ და სიმშილით იხოცებიან.

ნეაპოლელები გამხდრები არიან, პატარა ტანისანი, მარდი მიმოხრა აქვსთ და ჩქარი სიარული. ქალები მეტად ლამაზნი, მოხდენილნი და სიცოცხლით სავსენი არიან. ბავშვების შავი თვალები და გამომეტყველება მაშინვე გატყობინებთ მათს ნიჭიერებას, გონიერებას, სიმკვირცხლეს. თუმც ასეთი კეკლუცის შეხედულობისანი არიან, მაგრამ უმრავლესთ, უზომო შრომა-მუშაობით ლუკმა-პურის საშოვნელად, ჩქარა ეხშობათ ეს ღვთიური სახე.

ნეაპოლელების ეხლანდელი ცხოვრება ბევრად მოგაგონებთ მათს წინაპარ-კერპთ-თაყვანის-მცემლებს ეს გასაკვირველიც არ არის: მათი ეკლესიები ძველის ქურუმთა სამლოცველოების ადგილას სდგანან. კერპთ-თაყვანის-მცემლობის დროს, ყოველს სახლში, ყოველს დუქანში ედგა პატარა კერპი-ღმერთები, რომელთაც შინაურს პენატს უძახდნენ. ეხლა პენატები სახლებიდამ გამოტანილნი და მუზეუმებში ინახებიან, მაგრამ მათს მაგიერ-კი დაუდგამთ მათსავითვე უშნო-ულაზათოდ გაკეთებული მფარველი წმიდანები, რომელთა

---

*) სიამოვნებით ვბეჭდავთ რა ამ წერილს, სრულიად ვეთანხმებით პატივცემული კ. დ. ყიფიანის აზრს. მართლაც, რომ ლექსიკონის შედგენას და მით უფრო ენციკლოპედიურს, დიდი შრომისა და ჯაფის გარდა ეჭირვება დიდი და ყოველ მხრივი ცოდნა, რაიცა ყოვლად შეუძლებელია ერთს კაცს ჰქონდეს, რაც გინდ გენიოსი, ნიჭიერი და მეცნიერი იყოს იგი. ამიტომ ლექსიკონის შესადგენად უნდა შეკრბეს შესაფერ პირთაგან კომისია და მხოლოდ კომისია-ღა თუ შესძლებს ამ მძიმე და საშვილიშვილო საქმის ცოტად თუ ბევრად უნაკლოდ შესრულებას. ამ საგანზე ჩვენ კიდევ გამოვსთქვამთ ვრცლად ჩვენს აზრს. რედ.

235
ეროვნული ბიბლიოთეკა

რნი სულ იმათ უცქეროდნენ, რადგან ზურნის ხმა აქ იშვიათი გასაგონია. ამბობენ, ეს მაისობა თითოეულს მონაწილეს ხუთის მანათის ნაკლებ არ დაჯდომიათო. ზომიერი ქეიფობა და დროს გატარება კარგია, მაგრამ უფრო კარგს იზამდნენ აქაურები, რომ ასეთის დროს გატარების დროს მოსუფრალებმა ჩვენი საქველ-მოქმედო დაწესებულებანიც არ დაივიწყონ ხოლმე და მათს სასარგებლოდ ერთი ან ორი თუმანი რომ შეჰკრიბონ თავიანთს შორის, მათს სუფრას არაფერი დააჩნდება.

მოკლე ხანში ხარაზები, მერე მეწაღეები და სხვა ხელობის ამქრები აპირებენ მაისობას.

⁂ **დ. გუდაუთა** (აფხაზეთი). **გაძარცვა.** 2 მაისს შუადღისას სამი აბრაგი სოფ. ზვანდრიფში (გუდაუთის საბოქაულო) დახვდნენ და გაძარცვეს სენაკის მაზრის ს. მარტვილის—ინჩხურის ორი მუშა ბესა ხელაია და ფილიპე უჩავა, რომელნიც მიდენილან გაგრაში ბზის საჭრელად. ჯერ, თურმე, დაუძახნიათ შეჩერდითო და შესაშინებლად უსვრიათ ბერდანის სისტემის თოფი და სამი რევოლვერი. ზემოხსენებული მუშები შეჩერებულან. აბრაგებს ხელაიასთვის წაურთმევიათ: ნაბადი, ბაშლაყი, ჩოხა, 2 მან. და ოთხი აბაზი ფული, წლის ბილეთი, წინდები, ქისა, თუთუნი და სხვ. ხოლო უჩავას—ნაბადი, ბაშლაყი, სამი მანათი ფული, ბილეთი სამგზავრო წლისა და სხვ. მერე ამოუღიათ სატევარი და უჩავასთვის სამს ალაგას ჩოხა დაუხევიათ, რადგან არ ვარგებულა. შემდეგ-კი სამივე ტყეში შემძვრალა.

გაძარცულებს უკანვე დაბრუნებულან გუდაუთაში და მოუხსენებიათ გუდაუთის უფროს თავ. ბეს. ჩიქოვანისათვის ყოველივე. თავ. ჩიქოვანს მაშინვე ფიცხელი განკარგულება გაუცია აბრაგების ალმოსაჩენად: ცხრა ყაზახ-რუსები, ხუთი ჩაფარი, ორი მამასახლისი და ერთი ოფიცერი სალაყაია 4 მაისს გაჰგზავნა იქ, სადაც გაუძარცვავთ მუშები. მერე გაგზავნილმა ოფიცერმა მოაგროვა სოფ. ზვანდრიფშის საზოგადოება და მოსთხოვა აბრაგები. ამის შემდეგ გადასულან ს. ჯირხვაში და იქ დასცემიან ერთს ოჯახს, გვარად შმაფს, ვახშმობისას, სადაც უნახავთ ყაჩაღები, გვარად სამივე შმაფი. ერთი მათგანი დაუჭერიათ და ორი გაქცეულა. ხელაიას ბაშლაყიც უნახავსთ. დაჭერილის ყაჩაღის სიტყვით, ის ორი მისი ბიძაშვილები ყოფილან; იმასთან ერთად დაუჭერიათ რვა პირნი მისივე გვარისა იმ მიზეზით, რომ ისინი ყოფილან ამ ყაჩაღების შემნახავნი, ხელის გამწყობნი და მფარავნი და წამოსულან 6 მაისს გუდაუთაში, თან ეს ტყვეებიც წამოუყვანიათ; იმ ღამეს გაქცეული ყაჩაღები ორივე მისულან თავიანთ ოჯახში და გაუმართავთ ტირილი და გამომშვიდობებიან თავიანთს ცოლ-შვილებს, ოჯახობას, ნათესავებს და მეზობლებს. უთქვამთ: აწი ჩვენ ველარ გვნახავთ, საუკუნოდ გეთხოვებით, რადგანაც ჩვენ სათათრეთში გადავდივართო; ხოლო გუდაუთის უფროსს თავ. ჩიქოვანს აღუთქვამს გაძარცულებისთვის, დაკარგულს ნივთებს უეჭველად ჩაგაბარებთო.

იმედია, მხნე და მარჯვე უფროსი საცოდავს მუშებს წვითა და დაგვით მონაგარს არ დაუკარგავს.

⁂ **ს. ჩხენიში.** (ქუთაისის მაზრ.) **ქვრივის გაქურდვა.** 15 მაისს, ღამე, აქ მოხდა გულის შემზარავი მოქმედება. გლეხი ჯამბურიას ქვრივს დაეცნენ ყაჩაღები ან, უკეთ რომ ვსთქვათ, ქურდ-ბაცაცები, რომლებმაც შესვლისათანავე სახლოში სტაცეს ქვრივს და მის მიერ ნაშვილევს მეძის ქალიშვილს (მეტი იმ ოჯახში არავინაა) ხელი და შეაგდეს ლოგინის ქვეშ. ერთმა ქურდმა დააჭირა ფეხები ქვრივისა და ქალიშვილის ფეხებს (თავი და ზევითა ტანი კი ლოგინის ქვეშ იყო) და არ ახედებდა ზევით, რომ არ დაენახათ და არ ეცნოთ მიუპატიჟებელი სტუმრები. მეორემ (ქურდმა) ჰკითხა: „სადა გაქვს შენახული ფულებიო“, რაზედაც მიიღო პასუხად:—დღეს ერთმა კაცმა მომიტანა რვა მანათი*) და ზანდუკშია შენახულიო. ქურდმა დაკეტილ ზანდუკს ძირი აუხეთქა და ამოიღო 8 მანათი და სხვა ნივთებიცა, რაც-კი მოიწონა. პირველი ქურდი (მასპინძლებს რომ თავს აწვა) ამბობდა: „ჩვენი სირცხვილიკი იქნება, რომ ფეხის ქირა არ ავიღოთო“. კარებში ყარაულათ გაჩერებული ქურდი (სულ სამი ყოფილან) უჩქაროდა ამხანაგებს და გამოცვლილის ბოხის ხმით იძახოდა: „რაც რამე კარგი ნახოთ, გამოიტანეთ და გამოდით მალე კარშიო“. ქვრივმა მხოლოდ მეოთხე დღეს განუცხადა ეს ამბავი ადგილობრივს (ჭოგნის საზოგ.) პოლიციას და ჩააწერინა პროტოკოლში დამნაშავების ვინაობა, რომლებიც მას უცვნია.

ამ ნაირი შემთხვევები და კიდევ უფრო უარესები არა იშვიათია, რომლებიც, ეშმაკმა იცის, რატომ იფარებიან. ძალიან სამწუხარო იქნება (არა მხოლოდ „გმირებისთვის»), რომ ამ საქმის ჩამდენნი დარჩნენ დაუსჯელად შემდეგის უფრო «ვაჟკაცური» მოქმედებისათვის.

ია.

⁂ **ს. ჯაგანი.** (ქუთაისის მაზრ.) **ბანქოს თამაშობა.** აქაურ მცხოვრებლებს ბუნება ხელს უწყობს: მოსავლი კარგი იცის, ადგილი სწორია, და ზომიერი ჰავაა; მაგრამ აქაურები ამ უხვს ჯილდოს არაფრად აფასებენ და არ სარგებლობენ მით. სამაგიეროდ, აქ გახშირებულია ბანქოს და ნარდის თამაში. ხშირად მთელი დღე და ღამე თამაშობენ. წაგებაზედ და მუშაობის მოცდენაზედ რომ არაფერი ვსთქვათ, ოჯახში რომ მარტო წვრილი ცოლშვილი რჩება (მოზრდილი ვაჟებიც ხომ იქ მიეშურებიან, სადაც მიბრძანდებიან იმათი პატრონები მაგალითის საჩვენებლათ) წარმოიდგინეთ იმათი მდგომარეობა, ერთი მოთმინებიდან გამოსული ქალი მოიჭრა დუქანში, სადაც მისი ქმარი ნარდს თამაშობდა, წაართვა მოთამაშეებს ნარდი, დაახეთქა მიწაზედ და გაბრუნდა შინ ყიჟინით და მუქარა-ყვირილით. ან თვითონ ჯაგნელებმა თუ არ შეიგნეს თავისი სიბრიყვე (თუ არ ვსცდები ამ სიტყვაში) და ან თუ სხვამ არ იმეცადინა იმათი გასწორება, ბევრი აქაური ყმაწვილი კაცი გაუნაწილებს თავის ავლა-დიდებას სხვა-და-სხვა პირებს, რაც ბანქოს მოტრფიალეთ არა ერთხელ დამართნიათ.

ია.

ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის წლიური კრება.

21 მაისი.

კრება გაიხსნა ნაშუადღევის 2 საათზე და შემდეგი საგნები განიხილა: 1) განიხილეს და დაამტკიცეს შეუცვლელად 1897 წლის ხარჯთ-აღრიცხვა. 2) განიხილეს გამგეობისაგან წარმოდგენილი პროექტი იმის შესახებ, რომ მემამულეთ მიეცეთ გრძელვადიანი სესხი ვენახიან ადგილების გირაოს ქვეშ. ამ საგანმა ხანგრძლივი კამათი გამოიწვია და ბოლოს კრებამ გარდასწყვიტა: შემოღებულ იქმნას გრძელ-ვადიანი სესხი, ხოლო წეს-რიგი ამისა დაწვრილებით და ბეჯითად გამოიკვლიოს და შეიმუშავოს ბანკის გამგეობამ და დამფასებელმა კომიტეტმა და შემდეგ წარმოუდგინონ დასამტკიცებლად მომავალს წელს საზოგადო კრებას“. 3) განიხილეს გამგეობის მოხსენება და ზედამხედველ კომიტეტის მოსაზრება შესახებ «სასარგებლო თანხის» განაწილებისა 1896 წელში. სხვათა შორის აღძრეს კითხვა იმ 1000 მანათზე, რომელიც უნდა მიეცა ბანკს თავ. ნ. ერისთვისათვის წყლის ამოსაზიდავი მანქანის გამოგონებისათვის ამ საგანმაც ხანგრძლივი კამათი გამოიწვია დაბოლოს კრებამ შემდეგი განაჩინა: „სასარგებლო თანხა“ განაწილებულ იქმნას თანახმად გამგეობისა და ზედამხედველი კომიტეტის მოსაზრებისა, ხოლო გ. ნ. ერისთვის დაკმაყოფილების საქმე მიენდოს გამგეობას და თუ ერისთავს არ ექმნება უფლება იმ 1000 მან. მიღებისა, მაშინ ის ფული გარდაეცეს „ტფილისის ქართულს დრამატიულს საზოგადოებას.“

ბოლოს განიხილეს 49 დამფუძვნებელ წევრთა მოხსენება შესახებ სარგებლის დამცირებისა $^1/_2{}^0/_0$-ზე და 60 დამფუძვნებელთა—შესახებ სესხის გაიეფებისა. ერთიცა და მეორე მოხსენებაც კრებამ ხანგრძლივის კამათის შემდეგ უყურადღებოდ დასტოვა.

კრება დაიშალა საღამოს $4^1/_2$ საათზე და გადიდვა მეორე დღის საღამოს 6 საათამდე.

22 მაისი.

კრება გაიხსნა საღამოს $7^1/_2$ საათზე.

შეუდგნენ განხილვას—გამგეობისა და ზედამხედველ კომიტეტის მოხსენებისას შესახებ ,,სამეურნეო თანხის'' განაწილებისა სხვა-და-სხვა სამეურნეო დაწესებულებათა და ამხანაგობათა შორის: 1) გორის მევენახეთა ამხანაგობა თხოულობს—3900 მან., 2) ამდენსაც ,,კახეთის ამხანაგობა თხოულობს, 3) თავად-აზნაურთა სასკოლო კომიტეტი თხოულობს მამულის ,,სკრასათვის''—5000 მანათს და 4) ‹კავკასიის სამეურნეო საზოგადოება'' თხოულობს—2770 მანათს.

ბ. გ. ჟურული. კრებასა ვსთხოვ შეიწყნაროს სასკოლო კომიტეტის თხოვნა და მისცეს მას სესხად 1 იანვრამდე მომავალის წლისა 5000 მან. ვალების გასასტუმრებლად.

თავ. ილ. ჭავჭავაძე ეთანხმება ბ. ჟურულს და შესაძლებელად ჰპოვებს სასკოლო კომიტეტის თხოვნა შეწყნარებულ იქმნას.

უგ.თავ. პ. ა. გრუზინსკი სამეურნეო თანხა განაწილებულ იქმნას გამგეობის და ზედამხედველი კომიტეტის მოსაზრების თანახმად, ხოლო «სკრას» მიეცეს სესხად მხოლოდ 3900 მან.

თავ. რ. გაჩნაძე—არ ეთანხმება გამგეობას ფულის დახარჯვაზე, სანამ სანამ თანხა საკმაოდ არ გადიდდება.

თავ. იგ. სულხ. ჭავჭავაძე—თუ ეგ სამეურნეო თანხა არ იქმნება გადადებული იმ სამეურნეო სკოლისათვის, რომელიც ს. ოძისში უნდა გავმართოთ, იმ შემთხვევაში ეგ ფული მივსცეთ ჩვენს სათავად-აზნაურო სასწავლებელს, რომელსაც დახმარება სჭირია ამ თავითვე.

თავ. ი. გ. ჭავჭავაძე. შეიძლება მეც ძრიელ მჭიროდეს ფული, მაგრამ «სამეურნეო თანხას“ თავისი დანიშნულება აქვს და იმისი დახარჯვა არ შეიძლება სხვა საჭიროებისათვის. ამის უფლებას არ გვაძლევს «წესდება“.

ანტ. ფურცელაძე. შემწეობა მიეცეს მხოლოდ გორისა და კახეთის ამხანაგობებს, როგორც ნორჩთა და სასარგებლო დაწესებულებათ, სხვების შუამდგომლობა-კი უყურადღებოდ უნდა დასტოვოს კრებამ.

უგ. თავ.პ. გრუზინსკიმ აუხსნა კრებას სამეურნეო თანხის წესდება და

ისევე ექცევიან და ლოცულობენ, როგორც კერპებს. მლოცველი ეცემა მათ წინაშე, მუხლს იყრის და შესთხოვს დაიცვ-დაიფაროს ქალაქი ვეზუვისაგან და ღირს-ჰყოს სასწაული უჩვენოს; მაგრამ როცა ხალხს ლოცვა ვედრება არ უსრულდება, იგი წყევა-კრულვას აყრის ხოლმე მათ. ნეაპოლელები ძველებურადვე მშვიდობის მოყვარე ხალხია: ისინი არც ძველად ამხედრებულან ვიზედმე და დაუპყრიათ რამე და არც ეხლა სცდილობენ ამას. ამას გარდა, საჭმელ-სასმელი, შრომა-ჯაფა ისეთივე აქვსთ, როგორც უძველეს დროიდამვე სჩვევიათ. სჭამენ: თევზეულობას, კიბოებს, ზღვის ობობებს და სხვა საზიზღარ ქვემძრომთ და ცხოველთ. ყველა ამას ისე ხარბად სჭამენ, რომ გაკვირვებიდამ გამოხვალთ.

არც ერთს ხალხს ქვეყანაზედ ასეთი მუზიკალური გემო და ნიჭი არა აქვთ, როგორც იტალიელებს; მათში ბევრია საუკეთესო სახელ-განთქმული მემუზიკე, მსახიობი, მომღერალი და მხატვარი. ამ მხრივ იტალია ძველიდგანვე განთქმული იყო და ეხლაც არავის ჩამოუვარდება.

ამასთანავე იტალიას თავისის ცრუმორწმუნეობით პირველი ადგილი უჭირავს მთელს ევროპაში. ვერ თვლის კაცი, თუ რამდენს დაცინვა-დამცირებას იტანს მოკლე ცხვირიანი და დიდ რგვალ თვალებიანი. ასეთებს ყველანი უფრთხიან, როგორც ჭირიანს, და ახლოს არავინ ეკარება, იმ ცრუ-მორწმუნეობის გამო რომ ასეთნი ყოველგვარ ავადყოფობას და მახინჯობას ავრცელებენო. ბავშვები ერთს ყვირილს შექნიან, დაინახავენ თუ არა ასეთს და ქვებისა და ჯოხების სროლას დაუწყებენ. ბავშვებს, მათს თვალის ცემისაგან დასახსნელად რაღაც ჯადოსნურს ნაჭრებსა ჰკიდებენ ყელზედ ზოგნი კიდევ გულს იჭრელებენ წმიდანთა სურათებით, რათა მათ დაიხსნან იგინი ბოროტისა და ავ-თვალისაგან. საქონელსაც-კი არიდებენ ავს თვალს, ყოველი გომურის წინ ხე არჭვია, რომელსაც „ბოროტი თვალის ხეს“ უწოდებენ. ეს ცრუ-მორწმუნეობა და უმზგავსობა სრულიადაც არ უშლის, რომ ნეაპოლელი ბუნებით ცოცხალი, მგრძნობიარე და გონიერი იყვეს.

ნეაპოლელს ქალებს კარგა ჩაცმა-დახურვა უყვართ, მეტადრე დღესასწაულებში მაინც. თუ შეძლება ნებას აძლევს, მდიდრულს ტანისამოსს იცვამს, სუნელოვნებას ისვამს კოხტად ჩაწნულს თმაზედ და ზღვის პირზედ სასეირნოდ მიემგზავრება. ყველა ახალგაზდა ნეაპოლელი ქალი მდაბიო ხალხიდგან სცდილობს წვრილმანი მოვაჭრე გაჰხდეს, რომელსამე ქალაქში და უმთავრესად ნეაპოლში. ქუჩა—სკოლაა ნეაპოლელი ქალისათვის, რადგანაც პატარაობიდგანვე იძულებულია საკუთარის შრომით იშოვოს ლუკმა-პური. აქ სწავლობს იგი მრავალს სიმღერებს, რადგან ქუჩებში და ზღვის პირად ყოველ მხრივ გაისმის წკრიალა, ალმამფრთოვანე გალობა ქუჩის ბიჭებისა. სახლში დედა ასწავლის მას, თუ როგორ მიიზიდოს მუშტარი, როგორ იდგეს ეკკლესიაში წირვის დროს, პირს ჯვარი როდის გამოისახოს,—აი ყველა ის, რასაც სახლში იძენს ნეაპოლელი ქალი. ბავშვი ჩქარა იზრდება, ქუჩის მოვაჭრედ ჰხდება და წვრილ გალობა-სიმღერით თავისკენ იზიდავს მუშტარს. „ჩქარა, ჩქარა აქ მოდი, აგერ ვაშლი წითელი, თურაშაული; აგერ ფორთოხალიც, ჩქარა ჩქარა იყიდეთ“!

ქუჩის მოვაჭრე სცდილობს როგორმე გათხოვდეთ. თუმცა ბედნიერებსა-კი არ მოელის გათხოვებაში, რადგანაც იცის, რომ მაშინ მეტი მწუხარების და ჯაფის ატანა დასჭირდება. მაგრამ მაინც სცდილობს მისთხოვდეს მეთევზეს, მენავეს, ან მატროსს, რასაც გალობითაც-კი გამოჰხატავს „წმიდაო კატერინევ, მხურვალედ გევედრები, კოხტა მენავე სადმე მეუღლედ შემირჩინე“.

და ან-კი სხვა ვინ უნდა ინდომოს მეუღლედ ნეაპოლელმა ქალმა, როდესაც ირგვლივ სულ მეთევზეთა და მენავეთა ჰხედავს. თუ ახალგაზრდა კაცს მოსწონს ქალი, მაშინ კვირას, შუა ღამისას, მიჯნურობას უნიშნავს. შეჰყრის რამდენსამე საუკეთესო მომღერალს, დაიქირავებს კოპწია გონდოლას და მომხიბლავ-მომაჯადოებელის გალობით ადვილად იგებს ახალგაზრდა, უმანკო ქალის სულსა და გულს. „რა ტურფა, მშვენიერი ხარ... შენი სწორი არვინ არის! ისრედ ძლიერად მიყვარხარ, რომ შენთვისა ვდნები-ვსჭკნები“, ეუბნება ახალგაზრდა კაცი და ატყვევნებს უიმისოდაც მოხიბლულს ქალს.

მოხუცი ბერი—ოჯახის მეგობარია ყველაფერში: დარიგებებს აძლევს ახალგაზრდა ქალს და მით უმეტეს ჯვარის წერის დროს. რასაკვირველია. ახალგაზრდა ქალიც პირველად რჩევასა ჰკითხავს ბერს თავისს ჯვარის წერაზედ. და ვერც ერთი ახალგაზრდა ქალი ვერ გაბედავს, მის ურჩევლად და ულოცვა-კურთხეოდ საქმე დაიწყოს. არა ერთი მაგალითი ყოფილა, რომ ბერებს ჩაუშლიათ ამგვარნი ქორწინებანი და გაუყრიათ ახალგაზრდა მოტრფიალენი. გათხოვილი ქალი ქმრის სრულს უფლებაშია და უიმისოდ არაფრის გაკეთება არ შეუძლიან.

შ. ფრონელი.

---

*) ქვრივს ფულები გასესხებული ჰქონია.

თხოულობს რომ ფული განაწილებულ იქმნეს.

გ. ყურული. ბ. ფურცელაძის წინააღმდეგ მამულის „სკრას" შესახებ ამტკიცებს, რომ ეგ მამული საჭიროა მომავალი სამეურნეო სკოლისათვის და მისი თხოვნა დაკმაყოფილებულ უნდა იქმნეს. ხოლო უგ. თ. პ. გრუზინსკის წინააღმდეგ ამბობს, რომ „სკრას" არ ეყოფა 3900 მან. და უნდა მიეცეს უეჭველად 5000 მ.

უგ. თ. მ. გრუზინსკი. გავანაწილოთ ეგ ფული და დავავალოთ ყველა, რომ მომავალის წლის 1 იანვარს, ფული უკან დაგვიბრუნონ.

ა. ი. კობიაშვილი. ფული არ უნდა მიეცეთ გორისა და კახეთის ამხანაგობებს, რადგან ისინი თავის დროზედ ფულს არ დაგვიბრუნებენ. იქ ისეთი გავლენიანი პირებია წევრებად, რომ მათი შევიწროება ყოველთვის გაგვიჭირდება და ისინი-კი მოახერხებენ, რომ ფული დროზე არ შემოიტანონ.

თავ. ნ. ზ. ჩოლოყაშვილი. ჩემის აზრით, ბ. კობიაშვილი უმართებულოდ იხსენიებს ცუდად გორისა და კახეთის ამხანაგობის წევრთა. იქ ისეთი პატივცემული პირებია, რომელთა შეურაცხყოფაც ურიგობად მიმაჩნია.

(ხანგრძლივი ტაშის ცემა და ხალხში ისმის: „მართალია! მართალია!!)

კრებამ, ხან-გრძლივის კამათის შემდეგ, უარ-ჰყო ფულის განაწილება, მაგრამ რადგან საკმაო წესიერება არ იყო დაცული და თავმჯდომარემ ვერ კამოარკვია, ვინ-იყო წინააღმდეგი და ვინ თანახმა ფულის განაწილებისა, თავმჯდომარემ 5 წამით შესწყვიტა კრება და გამოაცხადა ამ საგანს კენჭს უყრიო.

დასვეს ოთხი ყუთი: 1) მიეცეს კახეთის ამხანაგობას სესხი, 2) მიეცეს გორის ამხანაგობას, 3) მიეცეს სასკოლო კომიტეტს „სკრისათვის და 4) მიეცეს" კავკასიის სამეურნეო საზოგადოებას.»

კახეთის ამხანაგობის წარმომადგენელთა უარი განაცხადეს შემწეობაზე და თავისი ყუთი აიღეს.

ამ ნაირად ჰყარეს კენჭი დანარჩენებს და შედეგი აღმოჩნდა: 1) გორის ამხანაგობას—98 თეთრი და 3 შავი კენჭი, 2) სასკოლო კომიტეტს—105 თეთრი და 76 შავი, ხოლო 3) სამეურნეო საზოგადოებას—63 თეთრი და 117 შავი.

ასე, რომ „სამეურნეო საზოგადოების" შუამდგომლობა უარ ჰყვეს და სასკოლო კომიტეტისა და გორის ამხანაგობის თხოვნა შეიწყნარეს ხმის უმეტესობით.

კრება დაიხურა ღამის 12 საათ და გადაიდვა მეორე დღით დილით 10 საათამდე.

23 მაისი.

კრება გაიხსნა დილის 10¹/₂ საათ. და მაშინვე შეუდგნენ გამგეობისგან წარმოდგენილის პროექტის განხილვას იმის შესახებ, რომ შეცვლილ იქმნეს საზოგადო კრების წესდება და შემოღებულ იქმნას მხოლოდ წარმომადგენელთა მონაწილეობა კრებებზე შემდეგის წესით: სათავადო ბანკის წევრებისაგან უნდა იყვნეს—125 წარმომადგენელი დამფუძნებელთაგან და 75 წარმომადგენელი მსესხებელთაგან, ხოლო თითოეულს მაზრას უნდა ჰყავდეს 25 წარმომადგენელი.

მთელი დღე ამ საგნის განხილვას მოანდომა კრებამ. პროექტის თითოეული მუხლი კერძოთ განიხილეს და რამოდენიმე შეცდომა შეასწორეს და შესცვალეს და ბოლოს მიღებულ იქმნა ერთ-ხმად.

თავ. ა. ჩოლოყაშვილი—ჩემის აზრით, უსაფუძლო იქმნებოდა, რომ ეგ პროექტი ამ თავითვე წარვადგინოთ სამინისტროში. რად ავიჩქაროთ? როდესაც მოგვთხოვენ—მაშინ წარვადგინოთ.

თავ. ი. გ. ჭავჭავაძე ჩემის აზრით ეგ პროექტი ეხლავე უნდა იქმნეს წარდგენილი სამინისტროში, რადგან იქ მეორე პროექტიც არის ამ საგანზე თავად-აზნაურთა წინამძღოლისაგან წარდგენილი, რომელიც ჩვენის ბანკის კეთილ-დღეობისათვის საზარალოა.

ბ. ამირაგოვი და ვახვახოვი ეთანხმებიან თავ. ჭავჭავაძეს და განმარტავენ, რომ გამგეობასა და ზედამხედველს კომიტეტს მიენდოს ეგ პროექტი, მაშინ წარადგინონ სამინისტროში, როდესაც საჭიროდ დაინახვენ. კრება ერთხმად დაეთანხმა ამ აზრს და მიანდო გამგეობას და ზედამხედველ კომიტეტს მათის შეხედულებისა დაგვარად წარადგინონ პროექტი სამინისტროში დასამტკიცებლად.

კრებამ ბოლოს განიხილა თავ. ა. ზ. ჩოლოყაშვილის მოხსენება, რომ მთელი „სამეურნეო თანხა" ამ თავითვე გადადებულ იქმნეს ოძისის სკოლისათვის.

თავ. ი. ჭავჭავაძე. „სამეურნეო თანხა" გუშინდელს კრებაზე გავანაწილეთ და ეხლა ხომ ვერ შევცვლით გუშინდელს განაჩენს. დიდი პატივის მცემელი ვარ თავ. ზ. ერისთვის საჩუქრისა, მაგრამ ჩვენს ბანკს არ შეუძლიან დაჰპირდეს მომავალს ოძისის სკოლას ყოველ წლივ აძლიოს ამა თუ იმოდენი ფული, ხოლო ჩვენ უნდა დავპირდეთ თავ. ზაქარია ერისთავს, რომ მთელი „სამეურნეო თანხა" შენახულ იქმნება სავსებით მომავალის სამეურნეო სკოლისათვის, რომელიც უნდა დაარსდეს მისგან ნაჩუქარს ოძისის მამულში, და როდესაც ის თანხა იმოდენად გაიზრდება, რომ შესაძლებელი იყოს მისი სარგებლით (%% სკოლის შენახვა—მაშინ დაარსდეს სკოლაც.

კრებამ, ხანგრძლივის კამათის შემდეგაც, ვერავითარი განჩინება ვერ დასდო და თავმჯდომარემ კრება დახურა ნაშუადღევის 5 საათზე მეორე დღის დილის 10 საათამდე.

„ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოების შეუძლებელ მოსწავლეთა შემწეობისათვის", წევრთა წლიური კრება.

22 მაისი.

კრება გაიხსნა დილით 12 საათზე, ნ. ზ. ცხვედაძის თავმჯდომარეობით.

თავდაპირველად შეუდგნენ 1896 წლის საზოგადოების ანგარიშის განხილვას. კრებას მოხსენდა გამგე კომიტეტის მოხსენება ანგარიშის გამო. ხანგრძლივი კამათი გამოიწვია „სათავად-აზნაურო სკოლის" ანგარიშმა შემოსავალ-გასავლისამ. ამ კამათში მონაწილეობა მიიღეს: თავ. ი. გ. ჭავჭავაძემ, თავ. ბარათაშვილმა, ე. თაყაიშვილმა და ბოლოს ანგარიში ერთხმად დაამტკიცა კრებამ.

შემდეგ, ამა წლის ხარჯთ-აღრიცხვის განხილვას შეუდგნენ.. სათავად აზნაურო სკოლისათვის ამ წელში საჭირო ყოფილა 49,000 მანათამდე ფული, ამ ფულიდამ 35,000 მ. მიეცემა სკოლას ბანკის სასარგებლო თანხიდამ, ხოლო დანარჩენი ფული უნდა ისესხონ თავად აზნაურობისაგან. ამის გამო გამგე კომიტეტი სთხოვს კრებას, რომ კომიტეტს ნება მიეცეს აღძრას შუამდგომლობა თავად-აზნაურთა კრების წინაშე ფულის სესხების გამო. ამას გარდა გამგე კომიტეტი სთხოვს კრებას, რომ კომიტეტს ნება მიეცეს იშუამდგომლოს ბანკის დამფუძნებელ წევრთა კრების წინაშე, რომ მამულს „სკრაზე" დარჩენილი გარდასახადი (700 მანათი) აპატიოს ბანკმა. ამაზედ უარს ამბობს თავ. ი. გ. ჭავჭავაძე და ამტკიცებს, რომ სამინისტრო ნებას არ მოგვცემს ეგ რომ ჩავიდინოთ; რომ კიდეც ვაპატიოთ—ეგ ბოროტ-მოქმედება იქნება და გამგეობას კანონი დასჯისო. ამიტომ არ არის რიგი გამგე კომიტეტის მხრით, რომ მე ესეთს მდგომარეობაში მაგდებს „სკოლის საქმის წინაშეო".

კრება ერთხმად დაეთანხმა გამგე კომიტეტს თავად აზნაურობისაგან ფულის სესხებაზე სკოლისათვის, ხოლო რაც შეეხება „სკრა"-ზე დარჩენილს გარდასახადს—დაადგინა: ეთხოვოს თავად აზნაურთა ბანკის კრებას სესხით 1 იანვრამდე მისცეს ამ მამულს „სამეურნეო თანხიდამ" 5600 მანათი მამულის გასაუმჯობესებლად და მასზედ ვალების გასასტუმრებლად.

ბოლოს ხანგრძლივი კამათი გამოიწვია სკოლისათვის უფრო მკვიდრის წყაროის გამოძებნამ. ერთ უმთავრეს წყაროდ კრებამ იცნო გაეწეროს ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობას გარდასახადი სკოლების სასარგებლოდ და დაადგინა: იშუამდგომლოს გამგე კომიტეტმა თავად-აზნაურთა კრების წინაშე, რომ ამ გარდასახადის საქმე მალე შეიმუშავოს თავად-აზნაურობამ და განახორციელოს კიდეც.

დასასრულ კრებამ ერთხმად მადლობა გამოუცხადა გამგე კომიტეტს ბეჯითის და უსასყიდლოდ მოღვაწეობისთვის და კრება დაიხურა ნაშუადღევის 5 საათზე.

საღამოს დეპეშა

23 მაისი.

პეტერბურგი. 22 მაისს ახალ პეტერგოფში მოხდა სადღესასწაულო ადლუმი ხელმწიფა იმპერატრიცას ალექსანდრა თეოდორეს ასულის სახელობის ლეიბ-გვარდიის ულანის და ცხენოსანის რაზმებისა, ამ რაზმების დღესასწაულის გამო ადლუმს დაესწრნენ: ხელმწიფე, დედოფალი დიდნი მთავარნი და დიდნი მთავრინანი. ულანის რაზმს უფროსობდა პრინცი ლიუდოვი ნაპოლეონი.

ქანეა. მეამბოხენი მშვიდობიანად აქცევიან და აზრად აქვთ კომისია დანიშნონ, რომ ამ კომისიას წესიერი დამოკიდებულება ჰქონდეს ადმირალებთან.

ათინა. დედოფალი და მემკვიდრე პრინცისა გაემგზავრნენ ომერბეიში, რომ მემკვიდრე პრინცის სახელწოდების დღესასწაულს დაესწრნენ.

პარიზი. ბარონ მორენჰეიმ მაგდასტა პრეზიდენტს ფორს ხელმწიფე იმპერატორის სახელით რამდენიმე მედალი მიართვა იმათ დასაჯილდოებლად, რომელთაც „საქველ-მოქმედო ბაზარის" დაწვის დროს ხალხი გადაარჩინეს.

პარიზი. იმ ამბავმა, რომ ოსმალეთი დასთანხმდა დროებით ზავი დასდოს იქამდე, ვიდრე მოლაპარაკება მშვიდობიანობის შესახებაო. ძალიან კარგად იმოქმედა მთავრობის წრეებში. დაბეჯითებით ამბობენ,—ოსმალეთი ასე მშვიდობიანად იმიტომ იქცევა, რომ რუსეთის დიპლომატია საბერძნეთის სასარგებლოდ ჰმოქმედობსო.

ლონდონიდგან მოსული დეპეშები, დაბეჭდილი გაზეთებში, კიდევ ასაბუთებენ იმ ამბავს, რომ რუსეთს ჰსურს, რაც შეეხება მალე იქმნას გაწვეული ჯარი თესალიიდგანაო.

ლონდონი. საზოგადოებათა პალატა. სერ-ჰილზ დილკმა განაცხადა, რომ განგვიმარტეთ საბერძნეთისა და კრიტის საქმეო. ბალფურმა უპასუხა, რომ მთავრობას ჯერ არა აქვს შეძლება გაუწყოთ დაწვრილებითი ცნობები მოლაპარაკების შესახებაო. რამდენჯერმე გამოგვიცხადებია ისე თუ მთავრობა რა პოლიტიკას ადგას კრიტის შესახებ, ხოლო ბაასს კრიტისა და საბერძნეთის შესახებ მხოლოდ მაშინ ექნება აზრი, როდესაც მთავრობას შეეძლება გადმოგცეთ მოლაპარაკების რამ ამბავი და ცნობა. როგორც სჩანს, დილკი იმ აზრისაა, რომ საქმეთა ვითარება კრიტში უფრო ცუდრს მდგომარეობაშია. აღრეულობამ და უწესრიგობამ ისე დიდს ხანს გასტანა კუნძულზედ, რომ, ეჭვი არ არის, ამას თავისი კვალი უნდა დაეტოვებინა, რომლის წაშლასაც საკმაოდ დიდი დრო მოუნდება. მაინც ვარწმუნებ პალატას, რომ სრულიადაც არ არის საჭირო პესსიმისტურის თვალთა ხედვის ისარით ვსინჯოთ კრიტის საქმეთა ვითარებაო. წესრიგის აღდგენა მხოლოდ იმის შემდეგ არის მოსალოდნელი, როდესაც საქმე დონეზედ დადგება, როდესაც საკმაო რიცხვი იქმნება ჟანდარმერიისა და მართვა-გამგებლისათვის საკეთილო ელემენტი შესდგებაო.

რედაქციისაგან

შეღავათიანი განცხადებანი

„ცნობის ფურცლის" რედაქცია იმ პირთ, რომელთაც სჭირდებათ განცხადება რაიმე საქმის მოსაპოვებლად, მაგ.: მასწავლებლებს, მოწაფეთ, ექიმებს, ვექილებს, მწერლებს, მთარგმნელებს, წიგნების გამომცემელთ და სხვათა, განცხადებას უბეჭდავს სულ მცირე ფასად: სტრიქონი პირველ გვერდზე 3 კაპ. (ორი შაურის მაგიერად) და უკანასკნელ გვერდზე 2 კაპ. (შაურის მაგიერად).

ამიერ კავკასიის რკინის გზა.

მატარებლის ახალი მიმოსვლა 6 მაისიდგან.

თბილისიდან—ბათომში მატარებელი № 1 გადის დილის 9 ს. 15 წ. მიდის ბათომში საღ. 8 ს. 48 წ.

თბილისიდან—ბაქოში მატარებელი № 2 გადის ღამის 9 ს. 34 წ. მიდის ბაქოში 1 ს. 2 წ. დღის.

ბათომიდან—თბილისში მატარებელი № 2 გადის დილის 7 ს. 45 წ., მოდის თბილისში საღამოს 8 ს. 34 წ.

ბაქოდგან—თბილისში მატარებელი № 1 გამოდის დღისით 4 ს. 1 წ. მოდის თბილისში 8 ს. 30 წ. დილ.

თბილისიდან—ბათომში მატარებელი № 3 გადის საღამოს 8 ს. 45 წ. მიდის ბათომში დილის 8 ს. 45 წ.

ბაქოდან—თბილისში მატარებელი № 3 გამოდის ღამის 12 ს. 20 წ. მოდის თბილისში საღ. 7 ს. 10 წ.

ბათომიდან—თბილისში მატარებელი № 4 გამოდის საღამოს 8 ს. 35 წ., მოდის თბილისში დილ. 9 ს. 11 წ.

თბილისიდან—ბაქოში მატარებელი № 4 გადის დღისით 11 საათ. მიდის ბაქოში დილით 6 ს.

განცხადებანი

ცნობილის ფაბრიკის



როიალები

პიანინო

ფის-გარმონიანი, სკრიპკები, გიტარები, ფლეიტები, კლარნეტები, ნოტები, სიმები და სხვ. და სხვ.



ყოველ ამ სამუსიკო იარაღის შეძენა შეიძლება ფასის წვრილ-წვრილად გადახდით.

ახალი პრეისკურანტები მუქთად იგზავნება.

კავკასიის ცენტრალი საწყობი სამუსიკო იარაღებისა

ბ. მ. მირიმანიანისა

Музыкальное депо
Б. М. Мириманяна.
Тифлисъ, Дворцовая ул., д. Грузинс. Дворянства.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 23 Мая 1897 г. სტამბა მ. შარაძის და ამხ. ნაკ. ქ. № 21. რედაქტორ-გამომცემელი ვალ. გუნია.